განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
პენიტენციურ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,[1] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა. 2023 წლის 15 დეკემბერს განხორციელებული აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით ბრალდებულისთვის მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის შეზღუდვის საკითხები დარეგულირდა. კერძოდ, განისაზღვრა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიერ აღნიშნული უფლებებით სარგებლობა ხელს უშლის გამოძიებას და მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებას, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ლეგიტიმურ მიზნების მიღწევას, ბრალდებულის აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს.[2]

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით მოწესრიგებულია ბრალდებულისთვის შესაბამისი უფლებების შეზღუდვის საკითხები იმ შემთხვევებში, როდესაც ამ უფლებების შეზღუდვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი, თუმცა არ არის დარეგულირებული ისეთი შემთხვევები, როდესაც ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის შესაბამისი უფლებების შეზღუდვის საჭიროება სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური მიზნიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. კანონპროექტი სწორედ ამ საკითხის მოწესრიგებას ისახავს მიზნად.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი, მისი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას.

[1] https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16045
[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/6008210?publication=0#DOCUMENT:1

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში სათანადოდ მოწესრიგდება სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე შესაბამისი ბრალდებულის, მსჯავრდებულის შესაბამისი უფლებების შეზღუდვის საკითხები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზნით შესაბამისი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას კანონპროექტი ყველა ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის არ ითვალისწინებს. კანონპროექტის თანახმად, შესაბამისი უფლებები შეიძლება შეეზღუდოს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVII თავით (დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ) და XXXVIII თავით (ტერორიზმი) განსაზღვრული დანაშაულების ჩადენისთვის არიან ბრალდებულნი ან მსჯავრდებულნი.

შესაბამისი ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის შესაბამისი უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ან პენიტენციური კოდექსის შესაბამისად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით, იღებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი. შესაბამის ბრალდებულს, მსჯავრდებულს შესაბამისი უფლება/უფლებები შეიძლება შეეზღუდოს 3 თვემდე ვადით. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ უფლების/უფლებების შეზღუდვა უქმდება. კანონპროექტი უფლების/უფლებების შეზღუდვის ვადის გაგრძელების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს.

ხაზგასასმელია, რომ კანონპროექტით დადგენილია უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვის ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს ის სამართლებრივი საფუძველი, რომლის გამოც ბრალდებულს, მსჯავრდებულს უფლება/უფლებები შეეზღუდა. კანონპროექტის თანახმად, ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის, მსჯავრდებულის უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ შესაბამის ბრალდებულს, მსჯავრდებულს გადაეცემა

გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა. აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წესით საჩივრდება პირდაპირ სასამართლოში.

შესაბამისი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლების შეზღუდვის ინტენსივობის შესაფასებლად ხაზგასასმელია, რომ კანონპროექტის თანახმად, უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება იმ პირის მიმართ მიიღება, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ბრალდებულის ან მსჯავრდებულის რანგში პენიტენციურ დაწესებულებაშია მოთავსებული. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, „პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირები, ცხადია მიეკუთვნებიან ... პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სუბიექტებს. თუმცა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ აღნიშნული პირები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფებიან, რაც პირადი ცხოვრების დაცულობის მოლოდინის ხარისხს მნიშვნელოვნად ამცირებს სხვა პირებთან შედარებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-101).[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირს, ამ დაწესებულების სპეციფიკის შესაბამისი უსაფრთხოების მოთხოვნებიდან, ისევე, როგორც მისი სტატუსიდან გამომდინარე, ვერ ექნება პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის ისეთივე მოლოდინი, როგორც ეს აქვს თავისუფლებაში მყოფ პირს. შესაბამისად, ამ გარემოებისა და ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კანონპროექტით განსაზღვრული შესაბამისი ბრალდებულის, მსჯავრდებულის უფლების/უფლებების შეზღუდვის წესი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, რადგან ეს წესი ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ და პროპორციულ საშუალებას წარმოადგენს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიციირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

[3] https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1564

კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის გამოქვეყნებისთანავე ამოქმედებას, რადგან, კანონპროექტის მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ამოქმედების ამგვარი ვადის დადგენა. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ იწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს გავლენა არ ექნება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტს გავლენა არ ექნება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი არ ახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ალექსანდრე ტაბატაძე, ანრი ოხანაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, გია ბენაშვილი, რესან კონცელიძე, დავით მათიკაშვილი, ალუდა ღუდუშაური, ირაკლი შატაკიშვილი, ალექსანდრე დალაქიშვილი, ლევან მაჭავარიანი, ქეთევან ჩარკვიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ალექსანდრე ტაბატაძე, ანრი ოხანაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, გია ბენაშვილი, რესან კონცელიძე, დავით მათიკაშვილი, ალუდა ღუდუშაური, ირაკლი შატაკიშვილი, ალექსანდრე დალაქიშვილი, ლევან მაჭავარიანი, ქეთევან ჩარკვიანი.